ეროვნული ბიბლიოთეკა
F-343
1998



ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

# დილა

№4 ივლისი-აგვისტო 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაშვილი

## ქართველი ჯარისკაცი

დიდობაში მხედრულ საქმეს
სხვა საქმეზე როგორ გავცვლი.
ჯარში უნდა ვიმსახურო,
უნდა გავხდე ჯარისკაცი.
ამ მიწა-წყლის დაცვას ბევრმა
თვით სიცოცხლე ანაცვალა
ეს გვავალებს სალ კლდეთ ვიდგეთ
საქართველოს დასაცავად.



მზია ჩხეტიანი

## ლოცვა

ღმერთო, არ მიგვატოვო...
სამებაო, გვედრი...
ჰყავ მსუბუქი გვარ-ტომის
ჩემის მძიმე ხვედრი!
ამბორს გიყოფ კალთაზე,
განდობ გულის მახილს -
დაუბრუნე აფხაზეთს
ეს ტანჯული ხალხი!
შუქად გვენთოს გულებში
მადლის შენის ბრწყინვა,
ტკბილქართული ნუგეში
არ მოაკლო ცხინვალს.
გეაჯები, გენუკვი
შვილი შენი, მრწემი, -
გამიმართლე, მიცოცხლე,
საქართველო ჩემი!

...

რატომ არის საქართველო სევდიანი?
მას ხომ ჩვენი სატკივარი სტკივა ასე,
ღმერთო, მალე დაგვაბრუნე აფხაზეთში,
საქართველოც არ იქნება სევდიანი.

ირინე ქარჩავა
II კლასის მოსწავლე სოხუმიდან

მხატვარი გია ლაფაური

ნანა ჩარკვიანი

F-3431
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკლესია-ღვთის სახლი

## ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო!

F-6599

28 აგვისტო მარიამობაა. ყველა ქრისტიანს და განსაკუთრებით ყველა მარიამს ულოცავენ ამ დღესასწაულს. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ მარიამი იესო ქრისტეს დედის, ღვთისმშობლის სახელია, მაგრამ შეიძლება ზოგმა არ იცოდეს რა დღესასწაულია მარიამობა. ეს არის ღვთისმშობლის გარდაცვალების, ან ეკლესიური ენით თუ ვიტყვით, ღვთისმშობლის მიძინების დღე. ალბათ გაგიკვირდებათ, - როგორ შეიძლება გარდაცვალების დღე დღესასწაული იყოს, ადამიანებს უხაროდეთ და ულოცავდნენ ერთმანეთს.



ღვთისმშობლის გარდაცვალება არ იყო ჩვეულებრივი სიკვდილი, ისევე, როგორც ჩვეულებრივი არ იყო მარიამის ცხოვრება ამქვეყნად. რით იყო გამორჩეული მარიამი სხვა ადამიანებისაგან? უპირველესად სულიერი თვისებებით: ის იყო არაჩვეულებრივად თავმდაბალი და უბრალო, ბრძენი, გონიერი, მორჩილი, მოსიყვარულე და თანამგრძნობი, ღარიბ-ღატაკთა და სნეულთა გულშემატკივარი, გაჭირვებისა და ტანჯვის მოთმინებითა და მხნეობით ამტანი, ყველასათვის სიკეთის მსურველი; ცხოვრების უმეტეს ნაწილს ის ღვთისადმი ლოცვაში ატარებდა.

სწორედ ამიტომ, თვით ღმერთმა, როცა განკაცება, ე.ი. კაცად ქცევა ინება, თავის დედად ყველაზე ღირსეული ადამიანი აირჩია. ასე გახდა ადამიანი ღმერთის მშობელი, იმ ღმერთისა, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო - ანგელოზებიც, ზეცაც და მიწაც, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ადამიანები და ცხოველები, მდინარეები და ხეები.

მარიამი იყო შვილი იოაკიმ და ანასი. იოაკიმ და ანა იყვნენ ბიბლიური დავით მეფის შთამომავლები. ეს ის დავით მეფეა, რომელმაც შეთხზა ფსალმუნები, ანუ საგალობელი ლოცვები; დღესაც, ეს საგალობლები ეკლესიაში ყოველ წირვა ლოცვაშია ჩართული, მათ ყველა ქრისტიანი კითხულობს, როგორც საკუთარ ლოცვას.

სამი წლისა მარიამი მშობლებმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და იქ მიაბარეს. აქ მისი საქმე იყო ლოცვა, გაჭირვებულებსა და ავადმყოფებზე ზრუნვა, ხელსაქმე. მარიამი ტაძარში ცხოვრობდა მანამ, სანამ გაბრიელ მთავარანგელოზი არ გამოეცხადა და არ აუწყა, რომ სულიწმინდით ის სასწაულებრივად შობდა ღმერთს, რომელმაც ისურვა ადამიანად დაბადება, ადამიანური სიცოცხლისა და სიკვდილის გაზიარება.

არაჩვეულებრივი სიხარულითა და ამავე დროს საოცარი სიბრძნითა და თავმდაბლობით მიიღო მარიამმა ეს ცნობა. ერთი წამითაც არ გაუვლია გულში ამპარტავნება. ის ხომ ადამიანთა შორის ყველაზე აღმატებული გახდა, გახდა ღირსი ღმერთის დედობისა.

ღვთისმშობელს საკუთარი შვილისადმი ჰქონდა როგორც დედობრივი სიყვარული, ასევე ღრმა მოწიწება და თაყვანისცემა.

როცა იესო ქრისტე ებრაელთა მღვდელმთავრებმა შეიპყრეს, შეურაცხყვეს, აწამეს და ჯვარს აცვეს, ღვისმშობელი არაადამიანურ ტანჯვას განიცდიდა. ტანჯვას არა მხოლოდ საკუთარი შვილის ბედის გამო, არამედ ადამიანების უგუნურობის გამო, რომლებმაც ვერ იცნეს საკუთარი ღმერთი და ჯვარს აცვეს ის. მაგრამ მას არავითარი საყვედური არ დასცდენია... ის იყო მაგალითი უდიდესი მწუხარებისა და ტკივილის ღირსებით და სიმხნევით დათმენისა.

ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა დედა თავის საყვარელ მოწაფეს - იოანეს ჩააბარა და სთხოვა, მასზე ეზრუნა. ღვთისმშობელს საკუთარი სახლიც კი არ გააჩნდა, და იოანე მახარებლის სახლში ცხოვრობდა იერუსალიმში, სიონის მთაზე. იესო ქრისტეს ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლების შემდეგ, ქრისტიანთა რაოდენობა დღითიდღე მრავლდებოდა. უამრავ ქრისტიანს სურდა ენახა განკაცებული ღმერთის დედა. მარიამთან შეხვედრის შემდეგ ყველა არაჩვეულებრივ სიხარულს განიცდიდა, ყველა გრძნობდა მისგან მომდინარ სიყვარულს და სულიერ ძალას. ღვთისმშობლის ნახვის სურვილი ჰქონდა თურმე კვიპროსის ეპისკოპოსს ლაზარეს, იმ ლაზარეს, რომელიც სამი დღის მკვდარი აღადგინა მაცხოვარმა. მაგრამ კვიპროსელი ეპისკოპოსი ერიდებოდა იერუსალიმში ჩასვლას, რადგან იმ დროს ებრაელი მღვდელმთავრები ქრისტიანებს ქრისტეს მსგავსად საპყრობილეებში სვამდნენ და სიკვდილითაც სჯიდნენ. როდესაც მარიამმა ლაზარეს სურვილი გაიგო, გადაწყვიტა თვითონ გამგზავრებულიყო კვიპროსზე. გემით მოგზაურობისას საშინელმა ქარიშხალმა მგზავრები აიძულა ერთ ყურეში გაჩერებულიყვნენ. ეს იყო ძველი დროიდან ცნობილი მკითხავებისა და ჯადოსნების თავშესაყრელი ადგილი. ღვთისმშობლის იქ ჩასვლით მოხდა სასწაული - იქაური კერპები დაიმსხვრა და ხალხმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი - იესო ქრისტე. ღვთისმშობელმა იწინასწარმეტყველა, რომ აქაურობა ქვეყნიერების დასასრულამდე იქნებოდა სიწმინდისა და ქრისტეს თაყვანისცემის ადგილი და მას ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ შეეხებოდა. ეს ადგილია ათონის

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა მთა საბერძნეთში, სადაც დღესაც მართლმადიდებელი ბერების ყველაზე ცნობილი მონასტრებია, სადაც არასდროს წყდება ლოცვა და ღმერთის დიდება. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობარი ბერები - გიორგი და ექვთიმე ათონელები.

ახლა კი გიამბობთ როგორ მოხდა მარიამის მიძინება ანუ გარდაცვალება.

ღვთისმშობელს წესად ჰქონდა იესო ქრისტეს წამების, აღდგომის და ზეცად ამაღლების ადგილებში ლოცვა. ერთხელ უკვე მოხუცებული მარიამი ელეონის მთაზე ლოცულობდა. სწორედ ამ მთიდან ამაღლდა მაცხოვარი ზეცად. მარიამს გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი და აუწყა, რომ სამი დღის შემდეგ უნდა დაეტოვებინა ამქვეყნიური ცხოვრება, ე.ი. აუწყა მისი გარდაცვალების დღე. მარიამს დიდი სიხარული დაეუფლა, რადგან მას კვლავ უნდა ეხილა თავისი ძე, ახლა უკვე არა დამცირებული და შეურაცხყოფილი, არამედ განდიდებული, როგორც ზეცათა მეუფე, და აღარასოდეს არ უნდა განშორებოდა მას. ქრისტეს მოციქულები იმ დროს სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას, მაგრამ ღვთისმშობელთან გამოსათხოვებლად ყველამ სასწაულებრივად მოიყარა თავი იერუსალიმში. უამრავი ქრისტიანი მიდიოდა ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად და თაყვანის საცემად. ის ყველას ლოცავდა, ამხნევებდა და ანუგეშებდა. და აი, დათქმულ დროს, როდესაც სახლი სავსე იყო სანთლებისა და კანდელების შუქით, ნელსაცხებლებლებისა და საკმევლის სურნელებით, თითქოს ზეცა გაიხსნაო, გამოჩნდა ანგელოზებით გარშემორტყმული მაცხოვარი. სახლი არაჩვეულებრივი ნათლით აივსო, რომელმაც გააფერმკრთალა სანთლების შუქი. ღვთისმშობელი დიდი სიხარულითა და სასოებით შეხვდა უფლის გამოჩენას. მაცხოვარიც უდიდესი სიყვარულითა და პატივით მიეგება დედას და აღუთქვა, რომ ის გახდებოდა ზეცათა დედოფალი, ყველა ზეციურ ძალაზე - ანგელოზებსა და მთავარანგელოზებზე... სერაფიმებსა და ქერუბიმებზე აღმატებული, ე.ი. განდიდებული და პატივცემული. მარიამის გარდაცვალება ისეთივე მშვიდი იყო, როგორც მიძინება. მიცვალებულის ცხედართან უამრავი მლოცველი მიდიოდა, ბრმებს თვალი ეხილებოდათ, ავადმყოფები იკურნებოდნენ.

მოციქულებმა ღვთისმშობლის წმინდა ცხედარი, როგორც სულიწმიდის უძვირფასესი ჭურჭელი, ლოცვითა და გალობით გადააბრძანეს გეთსიმანიის ბაღში, სადაც მარიამის მშობლები იყვნენ დაკრძალულნი და იქ აკლდამაში (ე.ი. გამოქვაბულ სამარხში) დაასვენეს. ღვთისმშობლის მიძინებას ვერ დაესწრო თომა მოციქული, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა და ძლიერ წუხდა, რომ ვერ გამოეთხოვა დედა ღვთისმშობელს. მოციქულებმა გადაწყვიტეს დაბეჭდილ აკლდამაში შეეყვანათ ის, რომ ღვთისმშობლის ცხედრისთვის მაინც ეცა თაყვანი, მაგრამ აკლდამა ცარიელი დახვდათ. დამწუხრებულებს ცოტა ხნის შემდეგ გამოეცხადათ მკვდრეთით აღმდგარი ღვთისმშობელი, რომელმაც ანუგეშა ისინი და აღუთქვა, რომ იქნებოდა ადამიანთა ზეციური დედა, ქრისტიანთა შემწე. მართლაც, დედა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს შემდეგ კაცთა მოდგმის ყველაზე დიდი გულშემატკივარია. ის დღესაც გვმფარველობს და გვშველის ჩვენ, ვინც ლოცვით ვითხოვთ მისგან დახმარებას.

თქვენ ალბათ გაგიგიათ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. იცით რას ნიშნავს ეს? იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ, ქრისტეს მოწაფეები სხვადასხვა ქვეყანაში უნდა გამგზავრებულიყვნენ ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად. ისინი შეიკრიბნენ და წილი ჰყარეს, ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. მოციქულებთან ერთად იყო მარიამ ღვთისმშობელიც, - მანაც მოისურვა, მოციქულების მსგავსად, ყოფილიყო მახარობელი იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა. დედაღვთისას წილად ხვდა ივერია, ანუ საქართველო. მართალია ღვთისმშობელი საქართველოში არ ჩამოსულა, რადგან ანგელოზმა აუწყა, რომ უმჯობესი იქნებოდა იერუსალიმში დარჩენილიყო. ანგელოზმა ისიც ამცნო მარიამს, რომ შემდეგ საქართველო ქრისტეს რჯულზე მოიქცეოდა და ბოლო ჟამს გაბრწყინდებოდა. ღვთისმშობელს არასდროს დაუკლია ზეციური ზრუნვა და მფარველობა ქართველი ერისათვის.



ღვთისმშობლის ცხოვრება ნიშანია იმისა, რომ ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული ყველაფერზე, თვით სიკვდილზეც კი ძლიერია. ღვთისმშობლის გარდაცვალება იყო მართლაც დროებითი მიძინება, რათა შემდეგ სიცოცხლეს ეზეიმა. ამიტომაც ვდღესასწაულობთ ამ დღეს, ვინც იცხოვრებს ქრისტეს რწმენით, ქრისტეს მცნებით, სიმდაბლით, სიყვარულით.

ჩვენ, ქართველებს, განსაკუთრებით გვიყვარს ღვთისმშობელი, განსაკუთრებულ თაყვანს ვცემთ მას. მის სახელზე ჩვენში მრავალი ტაძარია აგებული. მისი გამოსახულებებით შემკულია ტაძრების საკურთხევლები, მისი ხატები უდიდესი სიწმინდეა ჩვენთვის, მასზე ლოცულობს ეკლესია - ყოველ წირვალოცვაზე იკითხება სავედრებელი, ე.ი. თხოვნითი და სადიდებელი, ე.ი. საქებარი ლოცვები, სადაც ჩვენ ვთხოვთ დედა ღვთისმშობელს, ევედროს ქრისტეს ჩვენი შეწყალებისათვის და ვმადლობთ და სიყვარულს გამოვხატავთ მისადმი. რომ არა ის, ხომ ვერ იშვებოდა ღმერთი კაცად, ვერ მოხდებოდა ცოდვისა და სიკვდილისაგან ადამიანთა გამოხსნა, რაც იესო ქრისტემ მოგვიპოვა.

„...მხოლოსა ღვთისმშობელსა... გადიდებდეთ!“ ამინ!

მხატვარი **თეა ინწკირველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გოლნისისა და დმანისის
მთავარეპისკოპოსი
თადეოზი

## მამულო–
## სასუფეველო...

*მიუწვდომელი ვაჟა-ფშაველას*
*მადლით შთაგონებული*

მაღლით არწივი ჰყიოდა, -
მზე მოვიდაო, ინათა!..
აღარვის გული სტკიოდა,
ცრემლი აღარ სდით იათა...
მამულო-სასუფეველო,
ეფერვი გულმომტკივანთა,
კაცობაგაუყიდველთა
სულნათელ ადამიანთა.



## ეს სიხარულის
## სამყარო

*ბავშვთა ნამუშევრების*
*გამოფენაზე*

... მათ ნააზრევს და ნაფიქრალს
სიცოცხლის მზე და ცა ლოცავს,
ბავშვობის დღეებს გახსენებს
გულუბრყვილოს და საოცარს.
მთები, ტაძრები ჯვრიანი...
მზერა ძიებით გართული...
ოცნება ნაპერწკლიანი
და სული, მარად ქართული.
სიცოცხლის გახანგრძლივებად
გულს რომ დარდები აჰყარო
ხშირ-ხშირად უნდა იხილო
ეს სიხარულის სამყარო!..

***

პირჯვარს როგორ იწერს
პაწაწინა ქეთო,
უფრო მადლიანი
რა საქმე აკეთოს!
... გვედრებს თვალებშურთხი
ქართლოსიანთ გვარით, -
მამულს ოთხივ კუთხით,
ცით ეწეროს ჯვარი.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყუპები

ამ ბიჭებს რატომ აცვიათ მუდამ ერთნაირად? იმიტომ, რომ ტყუპები არიან.

მერე რაა?!

მერე ის, რომ ძალიან უყვართ ერთმანეთი. ერთ დროს იღვიძებენ, ერთნაირად იბანენ პირს, ერთი და იგივე საჭმელი უყვართ. სხვადასხვა ფერის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს - პა,პა,პა, არ გაიკარებენ. ამას წინათ რომ იცოდე, რა მოხდა...

რა?

რა და, ერთმა ძიამ ტყუპებს სხვადასხვა ფერის ფეხსაცმელი მოუტანა. აბა, რა იცოდა, ძმები მხოლოდ ერთნაირად რომ იცვამდნენ.

ფეხსაცმელი ერთი წყვილი წითელი ფერისა იყო, მეორე - ყავისფერი, მაგრამ ისეთი კრიალები და ისეთი ლამაზები, თვალს ვერ მოაშორებდი. ბიჭებმა ფეხსაცმელები გულშიც კი ჩაიკრეს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დაღონდნენ ტყუპები, დედას კალთაზე, ერთი ერთ მხარეს აეკრა, მეორე - მეორე მხარეს. დედა რა დედაა, თუ შვილების გულის ნადებს ვერ გაიგებს.

დედამ ბიჭები მეორე ოთახში გაიყვანა, გვერდით მოისვა და უთხრა: „სანამ სტუმარი ჩვენთანაა, თქვენი უკმაყოფილება არ შეამჩნევინოთ. მადლობა ხომ გადაუხადეთ?“ - ბიჭებმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავები ერთდროულად დააქნიეს. „ყოჩაღ, - მოუწონა დედამ. - ჰოდა, არაფერი თქვათ. სტუმარი შინ რომ წაბრძანდება, მე, მამა და თქვენ ერთად მოვილაპარაკებთ, რა უნდა გავაკეთოთ. კარგი?!“ - შეეკითხა დედა და დაღონებულ ტყუპებს ორ-ორ ქოჩრიან თავებზე აკოცა. „დააწყეთ ეგ ფეხსაცმელები და სათამაშოებით ითამაშეთ. მოვილაპარაკეთ?!“

ბიჭებმა ისე დააქნიეს თავები.

დედა სტუმართან, მეორე ოთახში, დამშვიდებული გავიდა, იცოდა, გონიერი ბიჭები უზრდელად არ მოიქცეოდნენ.

დარჩნენ ტყუპები მარტოკები ტახტზე წამოსკუპულები. ერთნაირად აქნევდნენ ფეხებს, ატრიალებდნენ დიდრონ თვალებს, ერთმანეთს შესცქეროდნენ, თან ფეხსაცმელებს ისევ მაგრა იკრავდნენ გულში.

უეცრად, მოულაპარაკებლად, ორივე ერთდროულად ჩამოხტა ტახტიდან. იატაკზე მოირთხეს და ფეხსაცმელებს სასწრაფოდ თასმები მოუღუნეს. მერე მარჯვედ დაიწყეს ჩაცმა.

ჩაცმაო, გაიგეთ? მაგრამ ხომ გაინტერესებთ, როგორ ჩაიცვამენ სხავადასხვა ფერის ფეხსაცმელებს, როცა, მხოლოდ ერთნაირს იცვამდნენ აქამდე!

მოიცათ, ეგ არაფერი! შეხედეთ! ერთმა ძმამ მარცხენა ფეხზე წითელი ჩაიცვა, მარჯვენაზე ყავისფერი, მეორემ მარცხენაზე ყავისფერი, მარჯვენაზე წითელი. გამოვიდა, თუ არა, ერთნაირი! გამოვიდა! მერე ორთავემ სარკესთან მიირბინა, ფეხები კოხტად მიატყუპეს, საკუთარ თავს ყურადღებით დააცქერდნენ და ძალიან ბედნიერები ისეთი აღფრთოვანებული ყვირილით გადაეხვივნენ ერთმანეთს, სტუმარი და დედ-მამა გულგახეთქილები შემოცვივდნენ მათთან ოთახში.



მხატვარი დარეჯან ჭილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწრებული პასუხი

კოკა ცხაკაია

- მარიკუნა, გენაცვალე,
ეუბნება ბებია,
საითკენაც გაიხედავ -
ყველგან შენი თმებია.

- ამას რატომ მეუბნები,
ჩემო ტკბილო ბებია?
ყველაფერს რომ მე მაბრალებ,
ეს ხომ ბაბუს თმებია.



ირაკლი ლომოური

# ლელუკა! აჰა, ლუკა!



ჩემო კარგო ლუკა ბიჭო,
თმა არ უნდა გაიკრიჭო?
გაგეზარდა კულულები,
ზვინი გადგას, ბულულები,
გოგოს ჰგავხარ, ჰრანჭიკელას,
შენს გარშემო უკვირს ყველას.

ვეღარავის გაუგია,
გოგო თუ ხარ, ლუკა გქვია?
გოგოს სახელია ლუკა?
იქნებ გქვია ლეილუკა?
არ დაიბნა ბიჭი ლუკა,
ბიჭი არ გადადგა უკან,
დედას იქით შეუტია -
ლომს რომ ფაფარი ასხია,
ლომი ბიჭი არ არისო!
თმების სიგრძე რას უშლისო!
- სანამ ლომი ბოკვერია,
გრძელი არ აქვს თმის ღერია!-
შეეშველა დედას მამა,
დაარწმუნა ლუკა ამან,
მიაშურა სადალაქოს,
ბიჭი ლუკა ყველამ აქო:
გზას გაუდგა ლეილუკა,
დაგვიბრუნა ბიჭი ლუკა!

მხატვარი თეა რიჟამაძე

# გასაყიდი ქუდები

(ზღაპარი)



მრავალი, მრავალი წლის წინ ერთ პატარა ქალაქში ერთი კაცი ცხოვრობდა. ქუდებით ვაჭრობდა და უამრავი ქუდი ჰქონდა - ყავისფერი და თეთრი, ნაცრისფერი და წითელი, მისი საკუთარი ქუდი კი შავი იყო.

გასაყიდ ქუდებს თან დაატარებდა, უფრო სწორად, თავზე ეხურა ყველა.

ჯერ თავის შავ ქუდს იხურავდა, მერე ყავისფერს, მერე თეთრს, მერე ნაცრისფერს და შემდეგ კი - წითელს.

დააბიჯებდა ქუჩებში და გაჰყვიროდა:

- ქუდები! ქუდები გასაყიდად! თითო ათი პენი!

ერთ დღესაც დაუყვებოდა ქუჩებს და გაიძახოდა:

- ქუდები! ქუდები გასაყიდად! თითო ათი პენი!

მაგრამ იმ დღეს არავის უნდოდა მისი ქუდები, წითლებიც კი!

ძალიან მოშივდა კაცს, მაგრამ სადილის ფული არ გააჩნდა. ამიტომ - „სასეირნოდ წავალო“, გადაწყვიტა.

ქალქგარეთ გავიდა. დიდხანს სეირნობდა. სეირნობდა, სეირნობდა და ერთ დიდ ხეს მიადგა.

- რა მშვენიერი ადგილია დასასვენებლად, - ჩაილაპარაკა მან. იმ ხის ქვეშ წამოწვა და ხელით ქუდები მოისინჯა - საკუთარი შავი, მერე ყავისფერი, მერე თეთრი, მერე ნაცრისფერი, შემდეგ წითელი. ყველა აქ ჰქონდა და გულდამშვიდებულმა დაიძინა.

დიდხანს ეძინა.

გაიღვიძა თუ არა, ხელით მოისინჯა თავზე ქუდები, - მხოლოდ საკუთარიღა ეხურა - შავი.

გაიხედა მარჯვნივ.

ქუდები არ იყო.

გაიხედა მარცხნივ.

ქუდები არ იყო.



გაიხედა ხის უკან.

ქუდები არ იყო.

ახლა ხის ტოტებს ახედა.

და როგორ ფიქრობთ, რა დაინახა?

უამრავი მაიმუნი!

ტოტებზე ისხდნენ და ყოველ მათგანს ქუდი ეხურა - ყავისფერი, თეთრი, ნაცრისფერი და თქვენ წარმოიდგინეთ, წითელიც კი!

კაცი მაიმუნებს უყურებდა.

მაიმუნები კაცს მისჩერებოდნენ.

რა უნდა ექნა?

- ეი, თქვენ, თქვე მართლა მაიმუნებო! - შესძახა კაცმა და თითით დაემუქრა, - ჩემი ქუდები დამიბრუნეთ!

მაგრამ მაიმუნებმაც თითები დაუქნიეს და დაუძახეს:

- ფშვიტ-ფშვიტ-ფშვიტ!

კაცი გაბრაზდა, ორივე ხელი გაიშვირა და სთხოვა:

- ეი, ეი, თქვენ! დამიბრუნეთ ქუდები!

მაიმუნებმაც გამოუშვირეს ხელები და ისევ დაუძახეს:

- ფშვიტ-ფშვიტ-ფშვიტ!

ბოლოს, კაცი ძალიან, ძალიან გაბრაზდა, მოიძრო თავისი შავი ქუდი და მიწაზე დაანარცხა.

მაშინ მაიმუნებმაც მოიშვლიპეს ქუდები და იმათაც ძირს გადმოყარეს.

გახარებულმა კაცმა სასწრაფოდ წამოკრიფა თავისი ქუდები და თავზე მიყოლებით დაიხურა - ჯერ თავისი შავი, მერე ყავისფერი, მერე თეთრი, მერე ნაცრისფერი და ბოლოს წითელი.

შემდეგ უკან, ქალაქში დაბრუნდა და ისევ დაიწყო ძახილი:

- ქუდები! ქუდები გასაყიდად! თითო ათი პენი!

*ინგლისურიდან თარგმნა პირველი საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ*
ᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

მხატვარი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲥᲐᲚᲓᲐᲜᲘ



ტარიელ ხავთასი

## ტრაბახა თაგუნია

- წუწკო ფისო, წრუწუნებში
ნუ ეძებ საკბილოსაო,
შენ კი არა, ჩვენი შიშით
აკანკალებს სპილოსაო.

## ფისო და წრუწუნა

-წრუწუნია, წრუწუნაო,
სანატრელო ჩემო დაო,
გარეთ გამო, ვითამაშოთ,
ბნელ სოროში რა გინდაო.
- რა მინდა და გემალები,
ვხედავ, ჩემთვის მოიცალე,
შენი მოსატყუებელი
კბილი უკვე მოვიცვალე.



ზაზა ქინქლაძე

## თამთას რჩევა

თამთა, ბაღიდან მოსული,
მამას მოწყენილს ხედავს,
- რა მოხდა? - დაეკითხება,
- დღეს მაწყენინა დედამ!

- გაგივლის მამი, გულს წყენა
არ მიაკარო ახლოს,
შენც მაწყენინე გუშინწინ,
მაგრამ დღეს არც კი მახსოვს.



## პოლიციელი ბიძია

პოლიციის მაიორი არის ლადო ბიძია,
მანქანაზე სირენა აქვს, მთელ ქალაქში იციან,
თვალს რომ მოჰკრავს, დახტის ქეთი ისე, თითქოს კვიცია
და გაჰყვირის: ,,აი, ჩემი პიპო-პაპო ბიძია!“

მხატვარი ეკა გეგია

# კონკურსი
## „ინტერვიუ"

ბავშვებო, თქვენ, რა თქმა უნდა, გაგიგონიათ სიტყვა „ინტერვიუ", მაგრამ, იცით თუ არა, რა არის ეს? ჟურნალისტი – ჟურნალ-გაზეთების თუ რადიო-ტელევიზიის თანამშრომელი – კითხვებს უსვამს რომელიმე ცნობილ პიროვნებას, და მის პასუხებს (კითხვებთან ერთად) აქვეყნებს პრესაში, ანდა გადასცემს რადიოთი თუ ტელევიზიით. ინტერვიუს აღება პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის კი არც ისე იოლი საქმეა. მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რა საინტერესოა ასეთი გასაუბრება საყვარელ მწერალთან, პოეტთან, მსახიობთან, სპორტსმენთან, სახელმწიფო მოღვაწესთან...

ჟურნალმა „დილამ" გადაწყვიტა, მოგცეთ შესაძლებლობა, გაესაუბროთ თქვენთვის საინტერესო ადამიანებს.

ჩამოაყალიბეთ და გამოგვიგზავნეთ შეკითხვები (5-5 კითხვა), რომლებსაც მისცემდით მათ. რედაქცია შეარჩევს საუკეთესო ხუთ შეკითხვას შემდეგი პრინციპით: შეკითხვა და მოსალოდნელი პასუხი თქვენი თანატოლებისათვის საინტერესო უნდა იყოს. ამ შეკითხვებს (და მათ გამომგზავნელთა გვარებს) გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში. გისურვებთ წარმატებას!

# უცნაური ზედაპირი

**რომანოზ დანელია**

1858 წელს, გერმანელი მეცნიერის - ავგუსტ ფერდინანდ მებიუსის მოსამსახურემ, შეცდომით, ერთი ლენტის ბოლო მეორეს შებრუნებულად მიაკერა. ეს შემთხვევა დაეხმარა ავგუსტ ფერდინანდს აღმოეჩინა ფიგურა, რომელსაც დღეს, მის პატივსაცემად, მებიუსის ზედაპირს უწოდებენ.

აიღეთ ქაღალდის ლენტი. ერთი ბოლო გადმოაბრუნეთ და ისე მიაწებეთ მეორე ბოლოს. მიიღებთ მებიუსის ზედაპირს.

მებიუსის ზედაპირს უამრავი უცნაური თვისება აღმოაჩნდა.

ქაღალდის ფურცელს ორი მხარე აქვს. ფურცლის ცალი მხარე შეიძლება წითლად გავაფერადოთ, ხოლო მეორე - მწვანედ. ახლა სცადეთ გააფერადოთ მებიუსის ზედაპირი; დაინახავთ, რომ მის გასაფერადებლად ერთი ფერიც საკმარისია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფიგურას მხოლოდ ერთი მხარე აქვს.

ახლა მებიუსის ზედაპირი შუა ხაზის გასწვრივ გაჭერით. ალბათ ფიქრობთ, რომ ორ რგოლს მიიღებთ; თვითონ მებიუსიც კი გაკვირვებული დარჩა, როცა ორი რგოლის ნაცვლად ხელში ისევ ერთი რგოლი შერჩა/

თუ მებიუსის ზედაპირზე ორ ერთმანეთის პარალელურ ხაზს გავავლებთ და ზედაპირს ამ ხაზების გასწვრივ გავჭრით, მოულოდნელად მივიღებთ სხვადასხვა ზომის ორ, ერთმანეთზე გადაჯაჭვულ რგოლს!

მებიუსის ზედაპირის ცალმხრივობა გამოიყენეს ტექნიკაში. ღვედური გადაცემის დროს ღვედს მებიუსის ფორმას აძლევენ, და ღვედის ორივე მხარე თანაბრად ცვდება, ეს კი საგრძნობ ეკონომიას იძლევა.

მებიუსის ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მათემატიკურ მეცნიერებას, რომელსაც დღეს ტოპოლოგია ეწოდება.



მხატვარი თეა მიქაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ კუჭავა

## ელენიკო



ელენიკო, შეეშვი
მაგ თვალების ნაბვასა!
რა ხანია გათენდა
შე პაწია კაპასავ.
ჩააკითხე ბოსტანში
ბებოსა და პაპასა,
თორემ მოვა მურია
და მოგპარავს კაბასა!

***

უსირცხვილო მელაკუდა,
მართლაც ტყუილების გუდა!
მითხრა, ნაყინს გიყიდიო,
მომიტანა თოვლის გუნდა.



ბორის გოგია

## გამოცანები

***

არასდროს არ განუცდია
მას ბარტყების ჟღურტული,
სხვის ბუდეში კვერცხებს რომ დებს,
რა ჩიტია? – . . . . . .



***

ფერებით კოხტად მოქარგულს,
ბუმბულაფოფრილ-მოფოფრილს,
ქუდსავარცხელა ჩიტუნას
აბა რა ჰქვია – . . . . .



ნორა ტატიაშვილი

***

ერთი პატარა სახლია,
ბოსტანში, ბაღში აგებენ.
სჭირდებათ თუ წვიმს, ან-ღამით,
ისე კი არად აგდებენ.

ეთერ გოშაძე

***

დედა თორმეტი თვისაა,
მამა სულ ერთი წლისაო.
ოთხი ლამაზი შვილი ჰყავთ,
თითო სამ-სამი თვისაო.

მხატვარი ზაურ ლეისაძე



# გილოცავთ დაბადების დღეს



ლევან აბულაშვილს,
თორნიკე ავსაჯანიშვილს,
ანანო ალაფიძეს, ქეთი არჩაიას,
ალექსი და ბესიკ ბარბაქაძეებს,
შაკო ბეჟიტაშვილს, ჯემალ ბოგლიჩიძეს,
დავით ბოდუაძეს, აკუნა დალაქიშვილს,
ელენე დარსაველიძეს, თამთა დოლიძეს,
ომარ გახაძეს, ანი თოფურიძეს,
ლიკა იმერლიშვილს, თამუნა იორაიშვილს,
თეონა და მარიამ კაველაშვილებს,
ბექა კაკანაძეს, დავით კახაბერს,
ირინე კევლიშვილს, ანი კინწურაშვილს,
მარიამ და სალომე კოლასონიძეებს, ნინო კორაშვილს,
ლაზარე ლაფაური-გურჯს, ლაშა მაისურაძეს,
დათო მანწკავლაძეს, ელენე მახარაშვილს,
იოანე და ანა მამიაშვილებს, გიორგი სადაღაშვილს,
გურამ და მიშიკო სვანიძეებს, ნინო შვარიცხავას,
ირაკლი და ია ქიმერიძეებს, ნოიკო შალამბერიძეს,
გიორგი და ლევან შარაშენიძეებს, ანი ჩიქვაიძეს,
ნიკა ციხაკარიშვილს, სალომე წიქლაურს, თედო წოწონავას,
გიორგი ჭელიძეს, თამთა ჯანელიძეს,
თორნიკე ჯანგულაშვილს, დათო ჯაფარიძეს

თუ გსურთ თქვენი პატარას
დაბადების დღე მოგვილოცოთ,
დაგვიკავშირდით სამ თვით ადრე
ტელ: 93-10-32

ლადო მრელაშვილი

## დამშვიდობება საბავშვო ბაღთან

დრო მოვიდა, რომ დავტოვოთ
ეს კედლები და ეს ჭერი,
თოჯინები, კუბიკები, -
უკვე დადგა სწავლის ჯერი.

ჩვენი კარგი აღმზრდელები,
მომვლელები - დედის ფერი,
უკვე დროა, რომ დავტოვოთ, -
უკვე დადგა სწავლის ჯერი.

ო, რაც ჩვენ აქ გვიცელქია -
აგვიკლია ყველაფერი,
ახლა უნდა მივატოვოთ,
უკვე დადგა სწავლის ჯერი.

ბაღი - ჩვენი დედობილი -
ტკბილი როგორც თაფლის კვერი,
ახლა უნდა მივატოვოთ, -
უკვე დადგა სწავლის ჯერი.

მაშ მშვიდობით, მაშ მშვიდობით, -
ფანჯარასა ვცვლით კალმის წვერით,
რადგან უკვე დიდები ვართ,
რადგან დადგა სწავლის ჯერი.

ცოდნისაკენ, სწავლისაკენ,
სკოლისაკენ პერი, პერი!
საქართველოს სადიდებლად
უკვე მოდის ჩვენი ჯერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო არსენაშვილი

## «დილა»

გადავშალე დილას „დილა"
ფერად-ფერად ათასისა.
ყვავილებით მოფენილა
ეს ფურცლები ატლასისა.
გადავშალე ფურცელ-ფურცელ
ზღაპარ-ზღაპარ გადავფურცლე.
ლექსიც ვფურცლე, კროსვორდებიც
ამოვხსენი ყველა უცებ.
თანატოლებს გავეჯიბრე
ცოდნაში და სიმარდეში,
გონებას რომ ვივარჯიშებ,
გავიზრდები სიმაღლეშიც.
„ღვთის სახლშიაც" შევაბიჯე
მოკრძალებით ვისაუბრე
და ლამაზი „დილა" დილას
შემიყვარდა ასე უფრო.






ნათელა ჩხაიძე

## მამულიშვილო, პატარავ!

მამულიშვილო, პატარავ,
ისაა შენი სიკარგე -
გიყვარდეს დედა სამშობლო -
მისთვის იშრომე, ივარგე!

ნინო ლოლაძე

## ლადოს ფისო

ლადოს ფისომ ამ დილით
ლამაზსა და პიწკინას
თათი გაჰკრა-გამოჰკრა
თამუნიას წიწილას,
ყვითელგულამ მთელი დღე
იწივლა და იწივლა...



მხატვარი ნანა სანაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო არსენაშვილი

## «დილა»

გადავშალე დილას „დილა“
ფერად-ფერად ათასისა.
ყვავილებით მოფენილა
ეს ფურცლები ატლასისა.
გადავშალე ფურცელ-ფურცელ
ზღაპარ-ზღაპარ გადავფურცლე.
ლექსიც ვფურცლე, კროსვორდებიც
ამოვხსენი ყველა უცებ.
თანატოლებს გავეჯიბრე
ცოდნაში და სიმარდეში,
გონებას რომ ვივარჯიშებ,
გავიზრდები სიმაღლეშიც.
„ღვთის სახლშიაც“ შევაბიჯე
მოკრძალებით ვისაუბრე
და ლამაზი „დილა“ დილას
შემიყვარდა ასე უფრო.






ნათელა ჩხაიძე

## მამულიშვილო, პატარავ!

მამულიშვილო, პატარავ,
ისაა შენი სიკარგე -
გიყვარდეს დედა სამშობლო -
მისთვის იშრომე, ივარგე!

ნინო ლოლაძე

## ლადოს ფისო

ლადოს ფისომ ამ დილით
ლამაზსა და პიწკინას
თათი გაჰკრა-გამოჰკრა
თამუნიას წიწილას,
ყვითელგულამ მთელი დღე
იწივლა და იწივლა...



მხატვარი ნანა სანაია



რეზო კაკაბაძე

# თევზაობა

სოფელში, ჩვენი ეზოს უკან გადიოდა მდინარე ცხენისწყლიდან გამოყვანილი სარწყავი არხით. ამ არხში თევზაობა ჩემს ბიჭობაში ჩემი საყვარელი გართობა იყო. სათევზაოდ ვირჩევდით იმ დროს, როცა არხში წყალი დაიკლებდა, და ღრმა ადგილს, სადაც ამ დროს რჩებოდა წყალიცა და თევზიც. წავიღებდი ვედროს და თოხს; ამოვქექავდი თოხით ბენძგოებს - ეკლებს, ჭუჭყს, ბალახს, ხის ტოტებს, სილას, შლამს, ხრეშს, და წყალს ავამღვრევდი. შლამიან წყალში თევზებს უჭირთ, ნაპირისკენ მოდიან და დროდადრო თავს ამოყოფენ. თუ მდინარის ჩამდგარ წყალში - ღუპეში თევზია, უსათუოდ შეამჩნევ.

განსაკუთრებით ბევრ თევზს ვიჭერდი წისქვილთან. წისქვილის ქვეშ - ჭარაბასთან - (ხის ფრთები) ან ბორბალთან, და ცუდლარასთან (ეს გვერდზე წყლის გადასაშვებია, როცა წისქვილი არ მუშაობს) წყალი ზევიდან ეხეთქება და მორევს ქმნის. დარჩენილ წყალს ვედროებით და ტაშტებით ამოვღვრიდი და როცა წყალი დაიწრიტებოდა, სულო და გულო! სიხარულით ვიჭერდი მოფართხალე თევზებს.

როცა წამოვიზარდე, სათევზაო კავებს ვიყენებდი. სადაც თევზებს შევნიშნავდი, საჭმელთან (ჭიებთან, ბუზებთან, კალიებთან, პურის ნამცეცებთან) ერთად უცბად ვაგდებდი კავსაც. ამ დროს თევზები აირევიან ხოლმე, რომ ერთმანეთს დაასწრონ საჭმლის ჩაყლაპვა და რომელიმე კავსაც გადაყლაპავს.

ერთხელ ბავშვობაში, ამხანაგებთან ერთად ჩვენი ეზოს ბოლოს ყანას ვრწყავდი. არხი გადავკავე და მთელი წყალი ყანაში ჩამოვუშვი. აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. არხში წყაროსავით კრიალა წყალი მოედინებოდა. გაკავების ადგილას წყალი დაგუბდა. სიცხისაგან გათანგულმა ბიჭებმა ბანაობა დავიწყეთ. უცებ წყალში შევნიშნეთ დიდი, მოწითალო თევზი - ქაშაყი. აღტაცებულებმა შევეცადეთ ყიჟინით იმ არხში შემოგვეგდო თევზი, რომლითაც ყანა ირწყვებოდა. არაფერი გამოგვივიდა, თევზი ყანისაკენ არ მიცურავდა. მაშინ ნაცადი ხერხი გამოვიყენეთ - წყალი ავამღვრიეთ, რომ თევზს ვერაფერი გაერჩია და წყალს ყანაში გადაყოლოდა. და გაგვიმართლა კიდეც. როდესაც მორწყვა შევწყვიტეთ და ყანაში წყალი დაიწრიტა, დავინახეთ, რომ სანატრელი ქაშაყი ყანაში ფათქუნობდა. მასთან ერთად ბევრი სხვა, უფრო მომცო თევზიც გამოყოლოდა წყალს. ჩვენ ჟრიამულით დავიწყეთ ყანაში თევზაობა.

სოფლის მინდორზე ცაცხვებთან, სადაც ჩვეულებრივად საღამოობით იკრიბებოდა ხალხი, ყველას ვაჩვენეთ ჩვენი ქაშაყი, მაგრამ არავინ დაგვიჯერა, რომ სარწყავ არხში ასეთი დიდი თევზი მოხვდებოდა.

დიდხანს ვტრაბახობდით ბიჭები, თუ როგორ დავიჭირეთ ხმელეთზე ორმტკაველნახევრიანი თევზი.

ჩემთვის ეს ამბავი ბავშვობის დაუვიწყარ, სასიხარულო მოგონებად დარჩა.

მხატვარი ვაჟა ქურხული



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა მგელაძე



## თეა ზღვაზე

თეა ზღვაზე წაიყვანეს,
ზღვას უცქირა დიდხანს,
მხოლოდ ეს თქვა: პატარა ზღვა
მირჩევნია დიდ ზღვას.

## მაიმუნი

კამფეტი რომ მოგაწოდე,
უნდა დამიწუნო?!
იატაკზე იფურთხები,
მართლა მაიმუნო!

## მივლინება

– ერთი მითხარ: მივლინება
აბა რაა, გოგიტა!
– დედიკო რომ შორს წავა და
სათამაშოს მომიტანს.



## ბეჰემოთი

იშვიათად მიდი-მოდის
ღიპიანი ბეჰემოთი,
ჭუჭყიანი, დრუნჩიანი,
ზარმაცი და ურჩი არი.
ფეხზე დგომა ეზარება,
აგდია და თვლემს.
აინუნშიც არ ჩააგდებს,
თუ დაუქნევ ხელს.



გ ა ს ა თ ვ ლ ე ლ ი

## აბა, დაგვიჭირე!



ენკი, ბენკი, ენკი, ბენკი
კენტი, ლუწი, ლუწი, კენტი.
გაითვალე ცისანა,
ამომავალ მზისთანა.
წრეში გადი, ნათია,
ცაზე მთვარე ანთია,
აიხვიე თვალები,
ჩვენ კი დაგემალებით.
კუკუ... თვალი გაახილე,
აბა, ახლა დაგვიჭირე.



მხატვარი გიორგი მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ კერესელიძე

# სამშობლოს მთები



მიყვარს სამშობლოს მთები,
მე ვარ არწივის მართვე,
და უპირველეს ყოვლის
მამულის მოვლა მმართებს.
დღეს დავუბნელებ, ვინც მე
მამულს და დედულს მართმევს,
სამშობლოსათვის სიკვდილს
ვარჩევ – სხვა ქვეყნის ნათელს.
ბედნიერია, ვინც გულს
მზით, სიყვარულით ანთებს,
უმზერს ჩაუვალ მზეზე
მთების მადლიან კალთებს.

ტაგუ მებურიშვილი

# ნაწყენი ბიბო ჩიოდა



დედა შინაც, გარეთაც
სულ შენიშვნებს მაძლევს,
ჭკუა რომ არ მასწავლოს,
წუთითაც ვერ გაძლებს.
ტოტი არ მოგიტყდესო,
არ ახვიდე ბალზე,
ლელვს მწიფობა აცალე,
არ მოწყვიტო ბაჟე.*
არ დაქოჩრო და ან ძმა,
არ ეჩხუბო ტოლებს,
აბა, ბურთის თამაში
ჩქარა მიატოვე!

გაკვეთილებს მიხედე,
ტელევიზორს ნუ რთავ!
მაქებს უცხო სტუმართან,
მტუქსავს შინაურთან.
რა ვქნა, გუშინ დიდედა
მამშვიდებდა ნინო:
დედამ რომ გაწყენინოს,
უნდა მოუთმინო.
დედიკოს უკითხავად
ვერ გამიდგამს ბიჯი,
არა და, გავიზარდე
უკვე დიდი ბიჭი.

---

*ბაჟე – უმწიფარი ლელვი

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა გეგეჭკორი

# მსოფლიოს

ბავშვებო! თქვენი არ იყოს, 23 საუკუნის წინანდელ ეგვიპტეშიც დადიოდნენ ბავშვები სკოლაში და, სხვათა შორის, ისინიც წერდნენ საკლასო ნამუშევრებს. ერთი ეგვიპტელი ბავშვის ნაწერმა ჩვენამდეც მოაღწია - ეს არის ძალიან დაზიანებული, დროისაგან ჩამუქებული პაპირუსი,* რომელზეც შემორჩენილია მხოლოდ სათაური - „შვიდი საოცრება“ - და თითო-ოროლა სიტყვა ტექსტიდან.

საინტერესოა, რა იყო ეს შვიდი საოცრება, ძველი ეგვიპტის მოსწავლეებს საკლასო სამუშაო თემად რომ აძლევდნენ?!

ძველი დროის შვიდი საოცრებიდან დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები - ფარაონების განსასვენებელი ქვის შენობები.

## პირამიდები



პირველი პირამიდა თითქმის 5000 წლის წინათ აიგო ფარაონ ჯოსერის ბრძანებით, ხოლო გამოიგონა და ააგო იგი ხუროთმოძღვარმა იმხოტეპმა. ეს პირველი გენიოსი ხელოვანია, ვისი სახელიც - და არა მარტო სახელი, არამედ გარეგნობაც - შემორჩა კაცობრიობის ისტორიაში. ჯოსერის პირამიდის შორიახლოს აღმოაჩინეს იმხოტეპის ქანდაკების ნამტვრევები.

ეგვიპტის პირამიდებს შორის უდიდესია ხუფუს (ბერძნულად ხეოფსის) პირამიდა, რომლის სიმაღლე 146,6 მეტრი იყო (ახლა 137 მ-ია, რადგან ზედა ნაწილი ჩამოინგრა). მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ხეოფსის პირამიდა შედგება კირქვის 2 300 000 უზარმაზარი ლოდისაგან, რომელთაგან თითოეული ორ ტონაზე მეტს იწონის. მაინც როგორ ახერხებდნენ ასეთი ვეება შენობის აგებას? იმდროინდელი მშენებლები ქვების დასამაგრებლად არანაირ დუღაბს არ ხმარობდნენ - ერთიმეორეზე მჭიდროდ მორგებულ ფილებს მხოლოდ საკუთარი სიმძიმე იჭერდა.

პირამიდის შიგნით მდებარეობდა ფარაონის განსასვენებელი კამერა, სადაც გრანიტის სარკოფაგი იდგა. ამ სარკოფაგში ასვენებდნენ ფარაონის ბალზამირებულ სხეულს.

სპეციალურ სათავსოებში ინახებოდა ძვირფასეულობა და ფარაონის კუთვნილი სხვადასხვა ნივთები - ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ადამიანი გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს, და რომ მის ერთგვარ „ორეულს“ - „კას“ (რომელიც სიკვდილის შემდეგ ტოვებს ადამიანის ნეშტს, პირამიდის მწვერვალზე ადის და იქ მომლოდინე მზის ღმერთს - რას მიჰყვება უკვდავებაში სამოგზაუროდ), ყველა ის ნივთი სჭირდება, სიცოცხლეში რომ ხმარობდა. ამ ნივთების დასაცავად მძარცველებისაგან პირამიდაში აგებული იყო დერეფნების ლაბირინთი.

ხეოფსის პირამიდის შემდეგ სიდიდით მეორეა მასზე 8 მეტრით დაბალი ფარაონ ხაფრას (ხეფრენის) პირამიდა. დანარჩენი პირამიდები (დაახლოებით 70) ბევრად პატარებია და ბევრი მათგანი დანგრეულია.

და მაინც, XIII საუკუნის ერთი არაბი მწერლის თქმისა არ იყოს, „ამქვეყნად ყველაფერს დროისა ეშინია, დროს კი - პირამიდების“.

## ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში

ძველი ბერძნული მითის თანახმად, ოლიმპიის წმინდა მთის - ოლიმპოს წვერზე ცხოვრობდა ღმერთი კრონოსი, რომელსაც უწინასწარმეტყველეს, რომ საკუთარი ვაჟი დაამხობდა. ამიტომ კრონოსი ახალშობილ შვილებს ცოცხლად ყლაპავდა. როდესაც მეექვსე შვილი - ზევსი გაჩნდა, კრონოსის ცოლმა, რეამ, ეშმაკობა იხმარა და ქმარს ბავშვის ნაცვლად ჩვრებში შეხვეული ქვა მიაწოდა. პატარა ზევსი შორეულ კუნძულზე გაიზარდა. როცა დავაჟკაცდა, გადაწყვიტა, მამისთვის სამაგიერო მიეზღო: დაამარცხა მამა, უკან ამოაღებინა თავისი და-ძმა და თვითონ გახდა უზენაესი ღვთაება - ღმერთების და ადამიანების მამა, ჭექა-ქუხილის მბრძანებელი...



ზევსის ამ გამარჯვების აღსანიშნავად დააწესეს ბერძნებმა ოლიმპიური თამაშები. ძველი წელთაღრიცხვის 776 წლიდან ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიაში ტარდებოდა დღესასწაული, სადაც ხუთი დღის განმავლობაში რელიგიურ რიტუალებს სპორტული შეჯიბრებები ცვლიდა. ზევსის სადიდებლად აიგო უამრავი ქანდაკება, ტაძარი და საკურთხეველი. მაგრამ ოლიმპიის უმთავრესი და უწმინდესი ადგილი იყო ზევსის შესანიშნავი ტაძარი; ტაძარში იდგა უზენაესი ღვთაების ქანდაკება, რომელიც გენიალურმა მოქანდაკემ ფიდიასმა შექმნა. ლეგენდის მიხედვით, როცა ფიდიასმა ზევსის ქანდაკება მოამთავრა, დაქანცულმა თავი მაღლა აიღო და შესძახა: „კმაყოფილი ხარ, ზევს?“. პასუხად ისეთი მძლავრი ქუხილი გაისმა, რომ ტაძრის შავი მარმარილოს იატაკი გაიბზარა - ასე გამოხატა ზევსმა კმაყოფილება.

სპილოს ძვლითა და ოქროთი შემკული ეს დიდებული ქანდაკება ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში მიწისძვრამ დააზიანა, V საუკუნეში კი იგი მთლიანად დაიწვა.

## სემირამიდეს დაკიდული ბაღები



ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან არის ცნობილი ქალაქი ბაბილონი, რომელსაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ეგრეთ წოდებულმა სემირამიდეს დაკიდულმა ბაღებმა. რატომ ეძახდნენ ამ ბაღებს სემირამიდეს ბაღებს?! იქნებ ეს სახელი ერქვა მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605-562 წწ.) საყვარელ ცოლს - მიდიის მეფის ასულს, რომლისთვისაც მეფემ საჩუქრად გააშენა ეს ბაღები!? მეფის ბრძანებით ბაღებში ჩამოჰქონდათ არა მარტო დედოფლის საყვარელი მცენარეები, არამედ ყველა არსებული და უცნობი მცენარეც. ასე გაჩნდა ბაბილონში უზარმაზარი და მრავალფეროვანი ბაღი - პირველი ბოტანიკური ბაღი დედამიწაზე. ბაღი შვიდ ტერასად იყო დაყოფილი. ტერასები ცისკენ აწვდილ ერთიან ანსამბლს ქმნიდა და თითქოს ჰაერში ეკიდა ან დაფრინავდა.

გადმოცემის თანახმად, დაკიდებული ბაღების სურნელოვან ჩრდილში მოინდომა სულის მოთქმა მომაკვდავმა ალექსანდრე მაკედონელმა; და აქვე, მის სიგრილეში აღესრულა დიდი მხედართმთავარი. სამწუხაროდ, ამ მშვენიერებას ჩვენს დრომდე არ მოუღწევია - წყალდიდობამ იმსხვერპლა ნაბუქოდონოსორის სასახლე, დროთა განმავლობაში კი ბაღებიც ჩამოიშალა...

---

*პაპირუსი - საწერი ქაღალდი, რომელსაც ძველი ეგვიპტელები ამზადებდნენ ერთგვარი ბალახოვანი მცენარის - პაპირუსის ღეროებიდან.

# შვიდი საოცრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტემიდეს ტაძარი



ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს იონიელ ბერძენთა ნაწილი მცირე აზიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) გადასახლდა და დააარსა ქალაქი ეფესო. მისმა მოქალაქეებმა გადაწყვიტეს ქალაქში აეგოთ ქალწული - მონადირის, მთვარის ქალღმერთის - არტემიდეს ტაძარი.

ტაძრის მშენებლობა მიანდეს გამოჩენილ ხუროთმოძღვარს - ხერსიფრონოსს. არტემიდეს ტაძრის (არტემისიონის) მშენებლობამ მთელი მცირე აზიის ყურადღება მიიპყრო. ლიდიის მეფემ, უმდიდრესმა კრეზმა,* თურმე მშენებლობას უზარმაზარი თანხა შესწირა. ტაძარში იდგა არტემიდეს ორ მეტრზე მაღალი ქანდაკება. ძვ. წ. 356 წელს ეფესოს მკვიდრმა, ჰეროსტრატემ, თავი რომ უკვდავეყო, გადაწვა არტემისიონი. იმდროინდელი მსოფლიო შეაძრწუნა ჰეროსტრატეს დანაშაულმა და გადაწყდა, მისი სახელი დავიწყებისათვის მიეცათ, მაგრამ არც ჰეროსტრატეს საზარელი დანაშაულის და არც მისი სახელის მიჩქმალვა არ მოხერხდა...

ჰალიკარნასის მავზოლეუმი



მცირე აზიის სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ლამაზი ბერძნული ქალაქის - ჰალიკარნასის მშვენებად ითვლებოდა სატრაპ** მავსოლეს განთქმული მავზოლეუმი.

... მავსოლემ გადაწყვიტა, თავისთვის მონუმენტური საუკუნო განსასვენებელი აეგო და ამ მიზნით ბერძენი ხუროთმოძღვრები - პითეასი და სატიროსი მოიწვია. იმ დროიდან ბევრი გამოჩენილი ადამიანი დაიკრძალა მსგავს ნაგებობებში, რომლებსაც პირველი ასეთი სამარხის მიბაძვით „მავზოლეუმები“ ეწოდა.

მავსოლე ვერ მოესწრო თავისი დიდებული სამარხის აშენებას, მაგრამ მისმა თავდავიწყებით მოყვარულმა მეუღლემ არტემისიამ გააგრძელა მშენებლობა.

49 მეტრიანი მავზოლეუმის თავზე იდგა მარმარილოს კვადრიგა (ოთხცხენიანი ეტლი), კვადრიგაში კი - მავსოლესა და არტემისიას ქანდაკებები.

ჰალიკარნასის მავზოლეუმმა შედარებით დიდხანს - 1800 წელიწადს - გაძლო. ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში მიწისძვრამ ჩამოანგრია მისი დიდი ნაწილი, სამასი წლის შემდეგ კი ჯვაროსნებმა ნანგრევები ციხე-სიმაგრის ასაშენებელ მასალად გამოიყენეს.

როდოსის კოლოსი



როდოსის კოლოსის აგების იდეა ძველი წელთაღრიცხვის 304 წლის გაზაფხულზე გაჩნდა, როცა მცირე აზიის ნაპირებთან მდებარე პატარა კუნძულის - როდოსის მცხოვრებლებმა თავი დააღწიეს მტრის ხანგრძლივ ალყას. განთავისუფლების შემდეგ გადაწყდა როდოსის მფარველის, მზის ღმერთის - ჰელიოსის ქანდაკების აღმართვა. ლეგენდის თანახმად ხომ ღმერთებმა როდოსი ზღვის ფსკერიდან ჰელიოსის თხოვნით ამოზიდეს.

ქანდაკების აღმართვა მოქანდაკე ხარეტს მიანდეს. 12 წელი იგებოდა ეს 36 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება. და აი, როდოსელებმა იხილეს თავიანთი მფარველი ღვთაება, რომელსაც თავს კაშკაშა სხივებიანი გვირგვინი უმშვენებდა, მარცხენა ხელში მიწამდე დავარდნილი საბურველი ეჭირა, მარჯვენით კი თვალებს იჩრდილავდა და გასცქეროდა ზღვის სივრცეს...

კოლოსი ყველაზე უიღბლო გამოდგა შვიდ საოცრებას შორის - სულ ნახევარი საუკუნის შემდეგ როდოსის დამანგრეველმა მიწისძვრამ ისიც მიწაზე დასცა, მხოლოდ მისი სახელი შემორჩა - კოლოსი. კოლოსი ბერძნულად საერთოდ ქანდაკებას ნიშნავს; ჰელიოსის ქანდაკების წყალობით კი ამ სიტყვამ თავისი დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა - კოლოსი არის უზარმაზარი ქანდაკება, ანდა უბრალოდ გოლიათი (აქედან მომდინარეობს სიტყვა „კოლოსალურიც“).

ალექსანდრიის შუქურა



ალექსანდრე მაკედონელის მიერ ძვ. წ. 323 წელს დაარსებული ქალაქი ალექსანდრია მდინარე ნილოსის დელტაში მდებარეობს. ალექსანდრემ თავად შეიმუშავა ახალი ქალაქის მშენებლობის გეგმა. ალექსანდრიაში იყო განთქმული მუსეიონი - „მუზების სამყოფელი“***, ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრი; აგრეთვე მსოფლიოში უდიდესი ბიბლიოთეკა, სადაც დაცული ჰქონდათ დაახლოებით ნახევარი მილიონი პაპირუსის გრაგნილი. ალექსანდრიის ხალხმრავალი ნავმისადგომი საკმაოდ მოუხერხებელი იყო. ნილოსს უამრავი შლამი მოჰქონდა, გარდა ამისა, ქვებსა და მეჩეჩებში გემების გასაყვანად გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ საჭირო. ზღვაოსნობის გასაადვილებლად ალექსანდრე მაკედონელმა ბრძანა კუნძულ ფაროსზე გიგანტური შუქურის აშენება. ძვ. წ. 285 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელი უკვე 23 წლის მკვდარი იყო, დაიწყო შუქურის მშენებლობა. 120 მეტრი სიმაღლის სამსართულიანი კოშკის მესამე სართულზე, სვეტებით გარშემორტყმულ მრგვალ კოშკში, მუდამ ენთო უზარმაზარი კოცონი, რომელიც სარკეებით ირეკლებოდა.

თითქმის 1000 წელი გაძლო შუქურამ, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის 796 წელს მიწისძვრამ დაანგრია.

დაიღუპა ძველი მსოფლიოს საოცრებიდან ექვსი, მაგრამ განა მარტო შვიდი საოცრება იყო ამქვეყნად! ისინი ხალხმა იმ დროისათვის ცნობილი გეოგრაფიული გარემოდან ამოირჩია. ზოგი მეცნიერი კი სხვა ნაგებობებს მიიჩნევდა საოცრებად... მერე და მერე აშენდა ან ცნობილი გახდა ძველი და სხვა ქვეყნებში აგებული საოცარი შენობებიც. დროდადრო ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ მსოფლიოს სხვა საოცრებებსაც.

-------------

* ახლაც იტყვიან ხოლმე ვინმეზე - კრეზივით მდიდარიაო

** სატრაპი - სპარსეთის მეფის ნაცვალი

*** აქედან მომდინარეობს დღევანდელი „მუზეუმი“

მხატვარი ბია ლეჟავა



ეროვნული

სპაიკ მილიგანი

## ჭკვიანი ბატი

მიცურავს ხიდქვეშ ბატი და
ფულზე სულაც არ დარდობს,
მზიანი სანაპირო და
ლურჯი ტალღებიართობს.
იმან იკითხოს, ვინც ახლა
მგზავრობს ქუჩაში ტაქსით,
ანდა მეტროში, მიწისქვეშ,
თხუნელასავით დაქრის.
რა სჯობს, დინებას უფასოდ
მიჰყვე ამ მზიან დილით.
თუმც ვაღიაროთ: უ ფ ა ს ო დ
ნახევრად სველი ივლი.
აქეთ ფეხები ჭყაპუნებს,
იქით ფრთებს დასდით წყალი.
უმჯობესია, ღმერთმანი,
გადაიხადო ლარი.
ძვირია, მაგრამ რას იზამ,
ივლი კაცურად - მშრალი.

თარგმ

მარიამ წიკლაური-ძიძიგურ

ნიკოლოზ იოსებიძე

## ბატკანი

ლევანიკოს საჩუქრად
მოუყვანეს ბატკანი,
მურამ ყეფა ატეხა
და ქათმებმა - კაკანი.
გამოაბეს ღობეზე
აბრეშუმის თოკითა,
რასაც მისწვდა ბეკეკა,
ყველაფერი მოკვნიტა.
შიშისაგან ბღაოდა,
კანკალებდა საწყალი,
არავის გაახსენდა
არც ბალახი, არც წყალი.
შეებრალა ლევანს და
მოუკრიფა ფოთლები,
ცივი წყალიც მიართვა
„კოკა-კოლას“ ბოთლებით.
ბოთლით როგორ და ლევსო?!
დასცინოდა მარინა
და ქეთინოს სახლიდან
ჭიქა მოატანინა.





მხატვარი ნანა სანაია





გიორგი კუზმენკო 10 წლისაა, ცხოვრობს ქუთაისის მახლობლად, სოფელ კვახჭირში, იცის მხოლოდ ერთი ენა – ქართული – ქუთაისური აქცენტით და, როგორც ყველა ბიჭს, ძალიან უყვარს ფეხბურთი, მაგრამ რაც ხატვა დაიწყო, უცნაურობა დასჩემდა – შუა თამაშიდან გამოიპარება, სახლში შეიმალება და ხატავს. ცოტა ადრე დაბინდებამდე დასდევდა ბურთს, ვერავინ და ვერაფერი მიატოვებინებდა თამაშს, მაგრამ უბრალო, თეთრმა ფურცელმა და ფერადმა ფანქრებმა იძალეს. ყველაფერი, რაც მის დიდრონ ცისფერ თვალებში აირეკლება, რაზეც ოცნებობს, რაზეც ფიქრობს, ფურცელზე გადააქვს. მერე სახელებს არქმევს, ზოგს მხიარულს, ზოგსაც სევდიანს.

 აი, სულ ეს არის, რაც გიორგი კუზმენკოზე ვიცით. დანარჩენს მისი ნახატები გეტყვიან.





## ლოცვა ფრესკასთან

ვლოცულობ წმინდა მოძღვრის ფრესკასთან,
ვუყვები ბედის, ცხოვრების გზა-კვალს,
ვგრძნობ, აღარ შემწევს ბრძოლა ბედთანა,
თავად ცხოვრება ფიქრთ აფრთხობს მრავალთ.

ვინ მოთვლის რამდენ ფარულ ოცნებას
ცხოვრების წილი თან გავატანე.
ვერ მოვიფიქრე, ვიღლი გონებას,
ბედი ამ გზებით რატომ მატარებს.

ვვედრებ მესიას, მასწავლოს ფიქრი,
რომ წარვიმძღვარო შემდეგში აფრად,
გრძნობა და განცდა მცირე ბიძგს ელის
და მსწრაფლ ამიხელს უთუოდ თვალთა.

ვდგავარ და ვვედრებ მე წმინდა ფრესკას,
ნუ დამიკარგავს სილაღის იმედს,
თორემ მოვკვდები, დავიწყებ ფრენას
და ზეცის სივრცეს გავანდობ მიზეზს.

ალბათ მკითხავთ, თუ არეულ ფიქრთა
რატომ მივანდე ეს ყველაფერი,
გპასუხობთ, ბედი არა აქვს, ვინცა,
უარჰყო სული ღვთით მონაბერი.

მხატვარი თეა მიქაია

ჩვენი ჟურნალის მეორე სტუმარი ვიქტორ გამსახურდია კი 12 წლისაა, მაგრამ მის ლექსებში ასაკი არ იგრძნობა. პოეზიის უცნაურ კანონებს დამორჩილებული ბიჭის სამყაროს ბავშვური არ ეთქმის. ასეთი რამ იშვიათად ხდება და, ალბათ, თავისი გამართლებაც აქვს. ჩვენ ბედნიერ მომავალს, ბევრ საფიქრალს და ნაკლებ სადარდებელს ვუსურვებთ ამ სტრიქონების პატარა „დიდ“ ავტორს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა ლებანიძე

## ბეჯითი თამთა

თამთამ თავის თოჯინაზე
თურმე გული აიცრუა,
ჩაუღრმავდა „დედა ენას“ –
აი თითი, აი ძუა.
გადმოიღო სავარჯიშო,
არ დაკარგა ერთი წამი,
სულ ზეპირად დაისწავლა
ორჯერ ორი, სამჯერ სამი.
როცა ყველა წიგნს და რვეულს
მიუჩინა თავის ბინა,
მხოლოდ მაშინ მოიცალა
და თოჯინას გაუცინა.





ბეჟან სვანიძე

## სუყველაფერს ხელს რომ ჰკიდებ

სუყველაფერს ხელს რომ ჰკიდებ,
ყველია თუ კარაქია,
ყველა შენი კი არ არის,
რაც სუფრაზე ალაგია.
შენი კერძი რაც გეკუთვნის,
შენს თეფშზეა, მალაქია,
შეჭამე და დაგიმატებს,
თუკი დედას მარაგი აქვს.



## მურია

ყეფს და წკმუტუნებს მურია,
ცრემლები გამოურია,
თურმე, ნაგაზი რომ გახდეს,
ჩამოათალეს ყურია!

## ტყე ქარში

მოჰქრის ქარი, მოგრიგალობს,
ახმაურდა მინდორ-ველი.
ტყეც ხმაურობს, ტყეცა ხარობს,
გახსნა გული შვებით, ლხენით.
შარიშურობს, მღერის, გალობს,
მოუმართა ზეცამ ხელი.
ყრუ-მუნჯია ტყე უქაროდ,
ვერც ტირის და ვერცა მღერის!



მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩხირკედელას სახელოსნო




იცით, ვინ არის ჩხირკედელა? ერთი პატარა რკოს კაცუნა, რომელიც ბებერი მუხის ძირას ცხოვრობს. ტანი და თავი მას რკოსი აქვს, ფეხები და ხელები - ხმელი წკირებისა; ქალამნებად შუაზე გაჭრილი რკო აცვია, თავზე კი რკოს ჯამურა ახურავს.



ჩხირკედელა იმიტომ შეარქვეს, რომ დღენიადაგ რაღაცას ჩაჰკირკიტებს, ხან რას მოიგონებს, ხან რას, სახელოსნოც მოაწყო ბებერი მუხის ფუღუროში... მოიმარაგა ბლომად ფერადი ქაღალდები, მუყაო, წებო, საღებავები და ფუნჯები, ეკლისაგან სადგისიც გააკეთა, მუხის ფოთლის წინსაფარი აიკრა და ქამარში მაკრატელი გაირჭო. ბოლოს ტყეში წასვლა გადაწყვიტა, რომ გირჩები, ხმელი ტოტები, წაბლის ნაყოფი და ეკალა ბალახები შეეგროვებინა და ამ მასალისაგან სხვადასხვა ცხოველ-ფრინველები გაეცოცხლებინა, მაგრამ აბა ამდენ რამეს მარტო როგორ მოზიდავდა. ჰოდა, რკოსაგან პატარა ვირუკა გააკეთა. მუცლისთვის მოზრდილი რკო შეარჩია, თავისათვის - მომცრო. კისერი და ფეხები წვრილი წკირებისაგან გამოთალა და სადგისით გახვრეტილ რკოში ჩაუდგა, თან სიმტკიცისათვის წებოც წაუსვა. მერე ორად მოკეცილი ყავისფერი ქაღალდისაგან ყურები გამოჭრა და თავზე ჩააწება ვირუკას, კუდად რამდენიმე წვერი დაგრეხილი ძაფი გამოაბა, ოღონდ ბოლოში ფუნჯი დაუტოვა. ძაფებით ქოჩორიც დააწება ყურებშუა; თვალები და ცხვირპირი ნახშირით მოუხატა... ვირუკამ თვალები დაჭყიტა და შეიკუნტრუშა. რკოს კაცუნამაც აღარ დააყოვნა, შემოახტა თავის ვირუკას და ჰერი! - გაჰქუსლა.







ერთხელ ჩხირკედელა თავის სახელოსნოს წინ იჯდა და მზეზე თბებოდა. უცებ ბუჩქებიდან დიდი ჭიამაია გამოცოცდა, უკან პატარა შვილები მოსდევდნენ.

- კეთილო ჩხირკედელა, გეთაყვა, ზამთარში ზურგები გაგვიხუნდა და შეგვიღებე!

რკოს კაცუნამ მაშინვე მოიმარჯვა საღებავები და ჭიამაიებს ზურგები მოუხატა.

- გმადლობთ, შენ გაიხარე, შენა! - გაიძახოდნენ ჭიამაიები და გახარებულები შინისაკენ გარბოდნენ.



ჟრ 232/3
ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიამაიები ჯერ თვალს მოფარებულებიც არ იყვნენ, რომ ჩხირკედელასთან პეპელა მოფრინდა;

- გეხვეწები, ნურც მე მეტყვი უარს. ხედავ, რა უფერული ფრთები მაქვს. აბა, ასე როგორ ვეჩვენო ყვავილებს, დამცინებენ. ისე ლამაზად მომიხატე, რომ ჩემისთანა პეპელა ამ არემარეში არ დაფარფატებდეს.



რკოს კაცუნაც, აბა უარს როგორ ეტყოდა, მაშინვე სახატავ მოლბერტზე წამოასკუპა, ფრთები გააშლევინა და საქმეს შეუდგა... მაგრამ წუნია პეპელას ხან ეს ფერი არ მოსწონდა, ხან - ის. ბოლოს, როგორც იქნა, ჩხირკედელამ ხატვა დაამთავრა. კმაყოფილი პეპელა მოლბერტიდან ჩამოფრინდა, კეკლუცად დაუქნია ფრთები და ყვავილებისაკენ გაეშურა.



ის იყო, დაღლილი რკოს კაცუნა ხავსზე წამოგორდა, რომ საცოდავი ტირილის ხმა შემოესმა. ყბაახვეული მორბოდა წრუწუნა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

- მიშველე, ჩემო კარგო ჩხირკედელა, თხილმა კბილი მომტეხა! „ახია მაგაზე, ალბათ მოპარული თხილი იყო“ - გაიფიქრა ჩხირკედელამ, მაგრამ მაინც შეეცოდა გულამოსკვნით მტირალი წრუწუნა, სავარძელში ჩასვა და მიბრუნდა, რომ გაზი მოემარჯვებინა და კბილი ამოეძრო. აიღო გაზი და შემობრუნდა, მაგრამ სადღა იყო მშიშარა წრუწუნა?!





ნახატები და ტექსტი
**ნელი ოქროპირიძისა**

მთავარი რედაქტორი **დოდო წივწივაძე**
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანა კვარაცხელია, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან
ყდაზე ნახატი ედუარდ ამბოკაძისა
დაბეჭდილია ბულგარეთში სარეკლამო გამომცემლობა „ლაზიერის“ მიერ
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი